

# ქართული!

საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველოს გაზეთი №11, 2000 წელი ფასი 30 თეთრი

საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველო მადლობას გიხდით თანადგომისათვის, რამაც შეგვადგინა სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ჩაგვეტარებინა და ლამაზად დაგვემასხვოვებინა ჩვენი თანაქალაქელებისათვის!

ჩვენს ქალაქში არაერთ საუკეთესო ტრადიციას ჩაპყრია საფუძველი. საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველოს დიდი სურვილი აქვს, ამ ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი იყოს და საზოგადოების მხარდაჭერით უკეთ წარმართოს ენობრივი პოლიტიკა.

საქართველოს სახელმწიფო ენის დღის აღსანიშნავად ენის სამმართველოში წინასწარ შემუშავდა პროგრამა:

- 1) კონკურსი „დედაენა“ ქართული ენის საუკეთესო მცოდნეთა გამოსავლენად (ორ ტურად: წერიტი, ზეპირი; ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა მონაწილეობით).
- 2) ფერადი ცარცებით ასფალტზე

მართველომ საჩუქრები მათთვისაც გაითვალისწინა.

აქციაში, რომლის თემა იყო: „ჩემი სამშობლო ასე ლამაზი“, საზოგადოების ფართო ინტერესი გამოიწვია.

\*\*\*

1 აპრილს ენის სამმართველომ ადგილობრივ ტელევიზიაში განათავსა ტელეკომპანია „ივერიონის“ მიერ ბაგრატიის ტაძრის შემოგარენში გადაღებული სოციალური რეკლამა სახელმწიფო ენის შესახებ.

\*\*\*

14 აპრილს ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა კონკურსის „დედაენა“ მეორე (ზეპირი) ტური და ლიტერატურულ-შემეცნებითი კომპოზიცია „ქება და დიდება ქართულისა ენი-

საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველომ ადგილობრივ ტელევიზიაში განათავსა ტელეკომპანია „ივერიონის“ მიერ ბაგრატიის ტაძრის შემოგარენში გადაღებული სოციალური რეკლამა სახელმწიფო ენის შესახებ.

## ინფორმაცია

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2000 წლის 3 მაისს გაიხსნა დიალექტოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი (ქუთაისური საუბრები - VII), რომელიც ორგანიზებულია ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის სამეცნიერო-ველევიითი ინსტიტუტის მიერ. იგი მიეძღვნა ქრისტიანობის 2000 წლისთავს.

სიმპოზიუმის თემა: დვთი ხმსა ხურეზა - ენობრივი და კულტურული ასპექტები. სიმპოზიუმში მუშაობა შეჯამდება 5 მაისს.

26 აპრილს აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მწვანე დარბაზში“ ქართული ენის კათედრამ ჩაატარა ამავე კათედრის გარდაცვლილ წევრთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ხალამო.

## „... იბლიგროს ენამ ქართულმა“

ხატვა (თემა: „ჩემი სამშობლო ასე ლამაზი“).

3) სახელმწიფო ენის შესახებ სოციალური რეკლამის განთავსება ადგილობრივ ტელევიზიაში.

4) გაზეთ „ქართულის“ სპეციალური ნომრის გამოშვება.

5) 14 აპრილისადმი მიძღვნილი საღამო ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

\*\*\*

8 აპრილს აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა კონკურსის „დედაენა“ პირველი (წერიტი) ტური, რომელშიც მონაწილეობდა ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებების 83 მოსწავლე. კონკურსის შედეგები შეაჯამა კომისიამ. გამოვლინდა 7 საუკეთესო.

\*\*\*

13 აპრილს დავით აღმაშენებლის მოედანზე გაიმართა აქცია—ფერადი ცარცებით ასფალტზე ხატვა. მასში მონაწილეობდა ქალაქის დაწესებულებების 21 მოსწავლე, რომლებმაც თავიანთი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინეს. „პატარა მხატვრებს“ ნამუშევრები შეუფასა მხატვარმა ოთარ ქანდარიამ. ყველა მონაწილეს გადაეცა სიმბოლური საჩუქრები და „სამახსოვრო“. იმ ლამაზ დღეს ბევრს გაუხსნა სურვილი, ხელში ცარცი აეღო და დაეხატა. ჩვენს პატარებს რამდენიმე ბოშაც შეუერთდა, რომლებმაც ქართული ენის დღე თავისებურად შეეცადეს ენის სა-

ხატვა. კონკურსში მონაწილეობდნენ წერით ტურში გამარჯვებულები. ისინი შეაფასა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობა ასეთი იყო:

მარინე ქაცარავა—დოცენტი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის გამგე.

რუსუდან სადინაძე—დოცენტი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის წევრი.

ქეთევან ყურაშვილი—საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველოს უფროსი.

ჯულიეტა მარგველაშვილი—ქუთაისის განათლების განყოფილების მეთოდისტი.

ტარიელ ფუტყარაძე—პროფესორი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ქუთაისის ენის სამმართველოს მეცნიერ-კონსულტანტი (ჟიურის თავმჯდომარე).

ზეპირი ტურის თემატიკა

1. ქართული ენის თანხმობის დახასიათება.
2. ზოგადი ცნობები ქართული ენის შესახებ.
3. ბიბლიური ფრაზოლოგიზმები.
4. ენობრივი ნორმები (მართებული და მცდარი ფორმების გარჩევა).
5. ქართული ენის დიალექტები.
6. ბარბაროზმები და მათი ქართული შესატყვისები.
7. ტექსტის შედგენა 7 სიტყვის გამოყენებით.

ჟიურის მიერ ცალ-ცალკე შეფასდა თითოეული თემა. საბოლოოდ კი, შეჯამებულ ქულათა რაოდენობა შემდგენიერად განისაზღვრა:

1) ნინო თავიდაშვილი (კუმანიტარული ლიცეუმის X კლასის მოსწავლე)—154 ქულა.

2) ვერა ცირეკიძე (კუმანიტარული ლიცეუმის X კლასის მოსწავლე)—150 ქულა.

3) ნინო ცირეკიძე (მე-16 საშულო სკოლის X კლასის მოსწავლე)—148 ქულა.

4) ნონა გუმბერიძე (იოსებ ოცხელის სახელობის გიმნაზიის X კლასის მოსწავლე)—147 ქულა.

5) შორენა ზვადავანი (33-ე სკოლის IX კლასის მოსწავლე)—145 ქულა.

6) ანა დიაკონიძე (მე-9 სკოლის VIII კლასის მოსწავლე)—135 ქულა.

7) მირანდუზ ხერვია (აკაკი წერეთლის სახელობის კლასიკური გიმნაზიის IX კლასის მოსწავლე)—126 ქულა.

ქართული ენის საუკეთესო მცოდნის სახელი მიენიჭა ნინო თავიდაშვილს—კუმანიტარული ლიცეუმის X კლასის მოსწავლეს (პედაგოგი—ობა შიშინაშვილი). მას გადაეცა წმინდა გიორგის ჭედური ხატი. კონკურსის შვიდეუ მონაწილე დაჯილდოვდა ქალაქის მერის მიერ ხელმოწერილი სიგელითა და ქართული ენის ორიოვრაფიული ლექსიკონით.

სახე-მწიფი ენა და სკოლა

„ნუ უატყდით იმას, ტაც ჩუნი ისტორია!“

კონკრეტული „დედაენა“ მონანი-  
ლებმა გაზეთ „ახიულის“ ხუბი-  
კებისთვის შემოგვთავაზეს ნუ-  
ლები, რომლებშიც ისინი აქუაღუად  
მეგობრულ ენობრივ პირობებზე.  
გთავაზობთ ფიგურებს მათი  
ნაბრევიდან.

თველ ხალხს გავაცნობიერებინოთ ქართული ენის ფუნქციის  
შენარჩუნების აუცილებლობა“.

ვაბა მუშლაძე  
იოსებ ოცხელის სახელობის გიმნაზიის  
X კლასის მოსწავლე

უცხოელი ქართველოლოგები ჩვენს ენას განსაკუთრებულად  
აფასებენ. ჩვენ კი რა გვეპარება? რატომღაც, საუბედუ-  
როდ, ლტოლვას უცხოურისადმი ცივილიზაციას ვეძიებთ...  
ჩვენი მშობლიური ენის პატივისცემითა და სიყვარულით  
უნდა დავიპყდეთ ადგილი თანამედროვე მსოფლიოში.  
ყველას უნდა დავანახოთ, თუ რა დიდი შესაძლებლობების  
მქონეა ჩვენი ენა.

ლელა სულაბანიძე  
მე-10 სკოლის VIII კლასის მოსწავლე

ყველამ ჩვენს გულში ჩავიხედოთ და კარგად დავინახოთ,  
როგორ გადავგვარდით, როგორ დავივიწყეთ ის, რაც ქარ-  
თულია.

...დღეს, სამწუხაროდ, ზოგიერთისათვის ადამიანის ინ-  
ტელექტის ერთ-ერთი საზომი გახდა უცხო სიტყვებით მდი-  
დარი ლექსიკა. ძალიან ბევრი ფიქრობს, რომ თუკი ადამიანი  
მეტყველებაში ხშირად იყენებს უცხო სიტყვებს, ის მეტად  
ერუდირებულია. ვერ გამოვიტყვებ, რატომ შეგებართ უცხოურ  
სიტყვებს? რატომ გვგონია ყველაზე კარგი ის, რაც უცხოა?  
... როგორ ვამახინჯებთ მშობლიურ ენას, გვემაყუბა კი-  
დეც ეარგონებით საუბარი, დახვეწილი ქართულის გაგონება  
კი სანატრელია. უარესიც, დავცინით მას, ვინც გამართული  
ქართულით მეტყველებს, ეს ხომ „აღარაა მოლაში“, ჩვენ  
ხომ „თინეიჭერები“ ვართ და უნდა ვისაუბროთ ინგლისუ-  
რად ან რუსულად, ან ნებისმიერ ენაზე, ოღონდ ქართულად  
არა.

მანია გომილაძე  
მე-10 სკოლის VIII კლასის მოსწავლე

დღედაღის ჯადოსნური ძარღვი ჩვენ გვერთებს, ერთი მხრივ,  
შორეულ წინაპრებთან, მრავალი საუკუნის წინათ რომ ცხოვ-  
რობდნენ, და მეორე მხრივ, შთამომავლობასთან, ჩვენ შემ-  
დეგ რომ მოვლენ.

ვასილ სინაუნიძე  
IX კლასის მოსწავლე

ჩვენი ყოველდღიური მეტყველება იმ ნორმებსა და ფარ-  
გლებს სცილდება, რასაც სწორი მეტყველება ჰქვია, და ჩვენც,  
ჩვენდა საუბედუროდ, ვამკვიდრებთ იმას, რაც ჩვენითვის  
უცხოა, მიუღებელია, რაც აბინძურებს და აუხეშებს საუკუ-  
ნებგამოვლილ უძველეს ენას, რომელსაც უმდიდრესი ლექ-  
სიკური მარაგი აქვს.

ფიქრია ზალიბანიძე  
22-ე სკოლის VIII კლასის მოსწავლე

საუბრის დროს ხშირად იყენებენ სტილისტურად გაუ-  
მართავ წინადადებებს... ქართული ენა კნინდება სხვადასხვა  
შეუფერებელი სიტყვა-გამოთქმებით, და რადგან მისი დაცვა  
თითოეული ჩვენგანის უპირველესი მოვალეობაა, უნდა ვე-  
ცადოთ, გავითავისოთ სწორმეტყველების წესები.

ნანა მურვანიძე  
მოდელირების ლიცეუმის XI კლასის მოსწავლე

მრავალფეროვანია ჩვენი მშობლიური ენა—ქართული, რომ-  
მელსაც დღესაც თავისთავადი ადგილი უჭირავს მსოფლიოს  
ცნობილ ენათა შორის. მხოლოდ ესაა, რომ ქართველებმა  
არ ვიცით საკუთარის დაფასება და რატომღაც გული უცხოუ-  
რისკენ მიგვიწვევს, რაც ადვილად შეიძლება მეტყველებაშიც.  
ვინც ცდილობს დაესხოს სხვა ენას, ავიწყდება, რომ თავად  
უძველესი, უმდიდრესი ენის წარმომადგენელია.

ანა ნაზუნიშვილი  
მე-10 სკოლის IX კლასის მოსწავლე

უცხო სიტყვათა გამოყენება მაშინ, როცა მათი შესატყვი-  
სები მრავალად მოგვეპოვება ქართულში, გაუმართლებლად  
მიმაჩნია... მშობლიური ენის სიწმინდის დაცვა თითოეული  
ქართველის პატრიოტული ვალია, რადგან ენა სახელმწიფოს  
ძლიერების საფუძველია. ჩვენმა თაობამ განსაკუთრებით უნ-  
და იზრუნოს ენის სიწმინდისათვის.

ნანა ჭათაძე  
წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზიის  
X კლასის მოსწავლე

ქართული ენა ისეთივე ძველია, როგორც თვით ქართვე-  
ლი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. მასში ასახულია  
ქართველი ხალხის განვითარების ყველა მომენტი.

...არ მინდა ჩემმა უძველესმა ქალაქმა, თბილისმა ქუთა-  
ისმა ის კოლორიტი, ის იერსახე დაკარგოს, რომელიც ოდით-  
განვე მოსდგამს. ჩვენ არ გვაქვს ამის უფლება, რადგან მამუ-  
ლის, ენისა და სარწმუნოების ქებად და დიდებად ქუთაისს  
უძველესი ბაგრატის ტაძარი დაჰყურებს.

თეონა გონაძე  
ქუთაისის მე-4 სკოლის VII კლასის მოსწავლე

ნუ უარყოფთ იმას, რაც ჩვენი ისტორიაა. გვგროდეს,  
მისი სიდიადის, სინატიფის, და უბრალოდ, გვიყვარდეს ენა  
ქართული!

ნონა ბუშაბანიძე  
იოსებ ოცხელის სახელობის გიმნაზიის  
X კლასის მოსწავლე

სიტყვები ქრონიკაში ანუ ენის მარგალიტები

«ცოლი» და მისი სინონიმები

(ნაწილი I)

ცოლი ნათქაფი ლექსის ერთ-ერთი ძირი-  
თავი ერთულია იგი დადასტურებულია უძველეს  
წილობათს ძეგლებში. ქართული ცოლის შე-  
სატყვისად მეორეობა გვაქვს წილ, სეპურში—წილ.  
საქართველოში ფიქრის დინეზე აღდგენი-  
ლია ძველი, \*ცოლი—ფიქრის, ხ. სარგვე-  
ლძე, ზედა—მხედრით, ცოლი არის „ქალი იმ  
ჯერის მანათი, რომელთანაც ჭორწინებთ არის  
დაეწინააღმდეგება“ ტერმინი ცოლი დღესათვის ში-  
ნაშისხმობად ნიშნავს, მასში არ ჩანს სიტ-  
ყვის პოტიციცა, სახელმწიფოს საფუძველი და, ამ-  
დენით, ვერ იძლევა სათანადო ტერმის დახასია-  
თებას ჭიჭიფი ცოლიტყვის პოტიციცად. თქველის  
ნათქაფიდან დაეწინააღმდეგება მავალით მხატ-  
ვრული ლექსითადაც. არქის შექმნაზე ცო-  
ლი მისი მხედრის ხელი ავიდ ვაუდა“ (სე-  
სელანელი) მხედრის, ხომ ამ ვინტეჟტში ცო-  
ლი მანათქაფი ერთეულს განიხე ვერ  
ვინტეჟტია მთქველის თვალსაზრისს ამ ოჯახის  
ცოლის ხოლმე და მხედრის ავიდრისა დაბა-  
ტყით ვინტეჟტია შექმნაზეც არქის შე-  
სატყვის, მისი (წილის) მხედრის ხელი“ მდენად,  
შეხედვით მის არის, ხომ დაქ სალიტერატუ-  
რი წილობისა და დიდიტყვენი სახალიტის სიტ-  
ყვის პოტიციცა სახედრის სახისში დეჟეციცა,  
სახლის სალიტერატუ, ჯალბა, ოჯახისა, ქალი  
სეჟი, ვერ, შეხედრის, თანამეჟეჟი, მე-  
სატყვის ხალხს უფოდ ენათქაფის ცოლი სიტ-  
ყვის ენათქაფი ტერმისადაც სალიტერატუ

თვალსაზრისი, შეფასებითი ასპექტი, ქართველთა  
ტრადიციები, ქმრის დამოკიდებულება ცოლისად-  
მი—როგორც ოჯახის ძირითადი წევრისადმი და  
ა.შ.  
დედაკაცი დამასსიათებელია საერთოქართული-  
სათვის, თუმცა აღმოსავლურ კილოებში უფრო  
ხშირად გამოიყენება. მისი ფონეტიკური ვარიან-  
ტებია: დიაცი, დედაკაცი. ამ შემთხვევაში ქარ-  
თულის ცნობიერებაში წინ წამოწეული და გა-  
მოყვითლია ცოლის როლი და ღირსება, საზ-  
გასებელია ცოლისა და ქმრის თანასწორობა ოჯახში  
(მღრ. მამაკაცი).  
ქართული ენის ისტორიის სხვადასხვა პერიოდ-  
შია შექმნილი ტერმინები: სახლობა, ჯალბა,  
ოჯახისა, რომელთა სახელდების პოტიციცა ასო-  
ლოტურად ერთანობია.  
სახლობა დადასტურებულია უძველეს წილობით  
ძეგლებში პარალელური სახელწოდებითაც.  
გვეხდება დღესაც, მეტწილად აღმოსავლურ კი-  
ლოებში. ტერმინისათვის ამოსავალია სახლი. ტრა-  
დიციულად, ქართველისათვის სახლის (ოჯახის)  
ავტორი ცოლის პიროვნებით განისაზღვრება. ე. ი.  
ცოლი, პირველ ყოვლისა, ქმრის პოზიციიდან,  
მთლიანი სახლის ტოლფასია, ამიტომაც მისთვის  
ცოლი იგივე სახლობაა (სახლუელი).  
ჯალბა საარსული წარმოშობისაა (ნიშნავს ოჯახს,  
ოჯახის წევრებს, ცოლს) გამოიყენებოდა ძველ  
ქართულში, დღეს შედარებით ნაკლებად იხმარება,  
ძირითადად აღმოსავლური კილოებისთვისა და—  
მასსიათებელი.  
ოჯახის თანამედროვე ქართულში უფრო აქ-

ტიური მარაგის ერთეულია. იგი მოგვიანებით უნდა  
იყოს გაჩენილი სახლობა სიტყვის ანალოგიით.  
ამოსავალია თურქულიდან შემოსული ოჯახი, რაც  
ქართულად ნიშნავს ბუხარსაც (ცეცხლის დასან-  
თებ ადგილს). ბუხარის ქართული შესატყვისია  
კერა, კერია (სკერაზე ცეცხლი ენთო“). კერა  
(კვამლი-კომლი) იგივე სახლია, ოჯახია. აქედან  
კი წარმოიშვა ოჯახობა, როგორც სახლობ-ის  
სინონიმი, მოხმარების თვალსაზრისით პირველი  
უფრო ხშირია. ოჯახობა (ოჯახი) არაა დამოუ-  
მებელი არც ძველი ქართული ენის ლექსიკო-  
ნებში და არც საბას „სიტყვის კონაში“.  
საგულისხმოა, რომ ოჯახისაგანა მიღებული  
მეოჯახე (ქალი) მოსაქმეობის ფუნქციით, მაშინ  
როცა სახლისაგან ამგვარი სემანტიკის სიტყვა არ  
იწარმოება.  
ქალი ქართულში მედრობითი სქესის ზრდას-  
რული ადამიანის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმი-  
ნია, მაგრამ გვევლინება ცოლის სინონიმადაც მეტ-  
წილად შეპირმეტყველებაში: ქალი მოიყვანა... გარდა  
ამისა, ქალი არის მიმართვის ფორმა ცოლისადმი,  
ისევე როგორც ზოგ დიალექტში ამავე მნიშვნე-  
ლობით გამოიყენებულა გოგო (გო).  
შესაძლებელია, ამ შემთხვევაში ჩანდეს უძველესი  
ქართული ტრადიციის ანატიკლი, როცა ცოლი  
და ქმარი ერთმანეთს სახელით ვერ მიმართავდნენ  
და, ალბათ, ასეთ ვითარებაში უფრო მოსახერხებელი  
საერთოერთო საშუალება იქნებოდა სიტყვები  
ქალი ან გოგო.  
მეორეხარისხიანი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ქარ-  
თულისათვის ცოლი და ქმარი ერთი მთლიან-

ნობაა, რომლის პირველ ნახევრად ქმარი ით-  
ვლება, მეორე ნახევრად—ცოლი, საგულისხმოა, რომ  
მხოლოდ ქმარი აშობს ცოლს—ჩემი მეორეხარისხი-  
ანობა. ცოლი კი არ (ვერ) იტყვის ამას. აქაც  
გამოიყვება ენაში სტრატეგიკული ვარიან-  
ტულობა, რაც უშუალოდ დაკავშირებულია სა-  
ზოგადოების სოციალურ სტრუქტურასთან, კო-  
მუნიკანტთა სტატუსებს შორის ურთიერთობას-  
თან. მეორე მხრივ, ეს ფაქტი თავისთავად არის  
ქალის მხრიდან მეტი თავისიანობა—პატივისცემის  
გამოსატყლება ქმრის (როგორც ოჯახის უფრო-  
სის) მიმართ, რასაც ქართულში სოციალური  
ცხოვრების ტრადიციაც განსაზღვრავს.  
თანამეტყველ, ძირითადად, ძველ ქართულში იყო  
გამოყენებული. დღეს შეიძლება შეგვხვდეს მხოლოდ  
წიგნურ მეტყველებაში, ისიც სტილისტიკის მი-  
ხედით.  
მეუღლე თანამედროვე ქართულში ფართოდ გავ-  
რცელებული ლექსიკური ერთეულია. იგი მეტად  
საინტერესოა სტრუქტურულ—სემანტიკურად, ამ-  
დენად, მისი ვიცეული ანალიზი შემაგდამ იქნება  
წარმოდგენილი.  
შემოდასახლებული სინონიმები უტყუარი დას-  
ტურია ქართველთა ძირძველი ტრადიციებისა, სადაც  
ქალი (ცოლი) ყოველთვის ითვლებოდა ოჯახის  
ღირსად, განსაზღვრავდა ოჯახის იერსახეს. ეს ტრა-  
დიცია ყალბდებოდა საუკუნეების მანძილზე და  
თავის გამოსატყლებას ენობრივ საძოვლოთაც პო-  
ულობდა.

ნანა მურვანიძე,  
იოსებ ოცხელის სახელობის



ასოების გადაცემას სხვა დამწერლობის ასოებით".

უნდა აღმატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას".

# რეკლამა რეკლამის წილ...

ქუჩებსა და შენობებზე რეკლამათა ენობრივი აკვარგიაობა არაერთგზის ყოფილა ჩვენი საგაზეთო წერილების თემა.

უცხოენოვანი წარწერების ზომათა თანაფარდობა, რაკილა ეს იურიდიულ დოკუმენტში მითითებული და დაზუსტებული არ იყო, არაერთგვაროვნად იქნა გათვალისწინებული.

1999 წელს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომ, აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, „რეკლამის შესახებ“ კანონში შეიტანა დამატებები და ცვლილებები.

გამომდინარე, თუ ჩვენს ქუჩებში კიდევ ვხვდებით ორენოვან რეკლამას წარწერათა განსხვავებული ზომებით, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს კანონდარღვევაა, რასაც იურიდიული თუ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მოჰყვება.

რაც შეეხება საზღვარგარეთ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების ქართულ ენაზე ტრანსლიტერაციას, ამ საკითხზეც არაერთხელ გვისაუბრია. სამწუხაროდ, ხშირად რეკლამათა გადმოქართულებისას არ ითვალისწინებენ მარტივ გრამატიკულ წესს—ყველა თანხმოდან სიტყვას სახელობით ბრუნვაში დაერთვის ბრუნვის ნიშანი—o. ამიტომ ვკითხულობთ რეკლამებზე „ელენდემ“, „ბანასონიკ“ და ა. შ. მიუხედავად არაერთგზის მითითებისა, სამწუხაროდ, მრავალი შეცდომები მაინც გვხვდება.

თვზის მითითებისა, სამწუხაროდ, მრავალი შეცდომები მაინც გვხვდება. კიდევ ერთ გათვლებზე გვთქვამთ, რომ მსგავსი უცხოურ ლოგოტიპებში (სასაქონლო ნიშნებში) ერთად გვხვდება ორი სმოვანი ან თანხმოდანი.



მაგალითად: „GILLETT“, „PALLMALL“, „WELLA“, „REEBOK“, „STIMMOROL“, და სხვა. ხშირად ამგვარი ნიშნების ტრანსლიტერაციისას ეს თავისებურება ქართულშიც გადმოაქვთ, რაც შეცდომაა. ჩვენი მშობლიური ენის წესების თანახმად, უნდა დაიწეროს ერთი სმოვანი ან თანხმოდანი. ამრიგად, მართებული იქნება არა: ჯილდეტტი, პელლმელლი, ველლა, რიბოკი, სტიმმოროლი... არამედ: ჯილდეტი, პელმელი, ველა, რიბოკი, სტიმოროლი და ა. შ.

იოსებ იაგლანაშვილი

## სხვა ენები და ენები ინგლისური ენის შესახებ

ინგლისური ენა ერთ-ერთია ინდოევროპული ენების გერმანული შტოდან (დასავლურ-გერმანული ქვეჯგუფი). მისი გავრცელების არეა: დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ამერიკის შეერთებული შტატები (თავისებური „ამერიკული“ ნაირსახეობა ინგლისური ენისა), კანადა, ალასკა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, სუდანი, ეგვიპტე, სირია, პალესტინა, ერაყი, ინდოეთი, ავსტრალია, ახალი ზელანდია. ინგლისურ ენაზე მოსაუბრეთა საერთო რაოდენობა 400 მილიონია. ინგლისური ოფიციალური სასაუბრო ენაა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოსი, ჩრდ. ირლანდიისა, აშშ-ის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის. (კანადაში—ფრანგულთან ერთად, ირლანდიაში—ირლანდიურთან ერთად), ერთ-ერთია გავრცელებული ენების ორგანიზაციის (გაერო) ოფიციალური და სამუშაო ენადაც.

მების დიდი რაოდენობა აღმოჩნდა ინგლისში ქრისტიანობის შეღწევის (VI ს.), აგრეთვე, სხვადასხვა ავტორთა შრომების ლათინურიდან თარგმნის შედეგად. ბრიტანეთის კელტური მოსახლეობის ენიდან შემონახა გეოგრაფიული სახელების ძირითადი ნიმუშები. სკანდინავიელების თარგმნის დასრულებისა (VIII ს.—ის ბოლო) და 1016 წელს დანიის სამეფოს მიერ ინგლისის დაპყრობის შემდეგ სკანდინავიური დასახლებების შექმნამ ინგლისური და სკანდინავიური ენები დაანათესავა. ამითაა გამოწვეული ინგლისურ ენაში სკანდინავიური წარმოშობის სიტყვების არსებობა. 1066 წელს ინგლისი ნორმანებმა დაიპყრეს, რამაც იგი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ორენოვანად მიიყვანა: ფრანგული ენა მოქმედებდა როგორც ოფიციალური ენა, ხოლო ინგლისური (რომელსაც XII-XIII სს-ში წარმოადგენდა სამი ძირითადი დიალექტური ზონა: ჩრდილოეთი, ცენტრალური და სამხრეთი) გამოიყენებოდა როგორც უბრალო ხალხის ენა. ინგლისის მიერ ფრანგული ენის ხანგრძლივად გამოყენებამ გამოიწვია ის, რომ „ოფიციალურის“ სტატუსის დაკარგვის შემდეგ (XIV ს.) დღემდე შემონახული ფრანგული ლექსიკის ფართო პლასტები.

უამრავი ტერიტორიული დიალექტი აქვს: დიდ ბრიტანეთში—შოტლანდიური დიალექტი, ჯგუფი: ჩრდილოეთი, ცენტრალური (აღმოსავლეთ-ცენტრალური, დასავლეთ-ცენტრალური), სამხრეთული და სამხრეთ-დასავლური; აშშ-ში—აღმოსავლური ინგლისური, შუა ატლანტიკური (ცენტრალური), სამხრეთ-აღმოსავლური, შუა დასავლური ჯგუფები. ინგლისური ენის დიალექტური ვარიანტები დიდ ბრიტანეთში უფრო მკვეთრად გამოხატულ ხასიათს ატარებს, ვიდრე აშშ-ში, სადაც ლიტერატურული ნორმების საფუძვლად ცენტრალური დიალექტი გვევლინება.

ინგლისური ენის ფონეტიკური რიგისათვის დამახასიათებელია სპეციფიკური ხმოვნებისა (æ, ʌ, iə, uə) და თანხმოვნების (Q, ʒ) არსებობა, მკვეთრი ზღვარის უქონლობა დიფთონგებსა და გრძელ მონოფთონგებს შორის. სხვა გერმანულ ენებთან შედარებით ინგლისური გამოირჩევა მკვეთრად გამოხატული ანალიტიკური აგებულების ნიშან-თვისებით.

მასკო მამაძე  
1999

### სწორმეცხველები

## ნახესები სასელები

უცხო ენებიდან ნახესები ზედსართავი სახელები ქართულად უნდა ვაფორმდეს თავსართ-ბოლოსართებით: -ურ (-ულ), -ობრივ, სა-ო:

ა) როცა მხოლოდ ზედსართავია ნახესებმა, ქართული ბოლოსართი ემატება სათანადო უცხო ენის ზედსართავს ფუძეს: აქტუალური, რეალური, სპეციალური, კონკრეტული, სერიოზული...

ბ) როცა სათანადო არსებითი

სახელიც არის ნახესები, ზედსართავი სახელი მისი ფუძისაგან უნდა იქნეს ნაწარმოები შესაფერი ქართული ყალიბის მიხედვით: გიგანტური, დინამიკური, ლოგიკური, პერიოდული, სტატიკური, ადმინისტრაციული, ასტრონომიული, გრამატიკული, ანალიტიკური, ანალიზური, გრაფიკული, ეთიკური, ლირიკული, მათემატიკური, მექანიკური, პოლიტიკური, სპეციფიკური...

#### მცდელობა:

- ემოციონალური
- ექსპერიმენტალური
- ინსტრუმენტალური
- მონუმენტალური
- პარადოქსალური
- კოლეგიალური
- კოლონიალური
- ფუნქციონალური
- დოკუმენტალური
- ფუნდამენტალური
- ინტელექტუალური
- კონტინენტალური
- ტერიტორიალური

#### მართებულია:

- ემოციური
- ექსპერიმენტული
- ინსტრუმენტული
- მონუმენტური
- პარადოქსული
- კოლეგოური
- კოლონიური
- ფუნქციური
- დოკუმენტური
- ფუნდამენტური
- ინტელექტური
- კონტინენტური
- ტერიტორიული

მართებულია: ქაოსი—ქაოსური, კოსმოსი—კოსმოსური, ესთეტიკა—ესთეტიკური, ელასტიკა—ელასტიკური, პლასტიკა—პლასტიკური, და არა: ქაოტური, კოსმიური, ესთეტიური, ელასტიური, პლასტიური.

რუსულან სალინაჰე

### ჩემი ვაშლით ასე?

## „მეოთხე ხელისუფლება“

მასშტაბის აღმნიშვნელი გამოთქმა „მეოთხე ხელისუფლება“ თითოეულ ჩვენგანს საკმაოდ ხშირად ესმის. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შემდეგ ამგვარად მოიხსენიებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რაც მასშტაბის დამოუკიდებლობას უსვამს ხაზს.

გამოთქმის ისტორია შორეულ წარსულში იღვწის სათავეს. ძველად ინგლისში არსებობდა ე.წ. „მეოთხე წოდება“. ცნობილი რომანისტი ჰენრი ფილდინგი წერდა: „არც ერთს პოლიტიკურ ორატორთაგან არ მიუტყვევია ყურადღება სამ წოდებაზე, სახელდობრ: მეფეებზე, ლორდებსა და თემთა პალატის წევრებზე— ასევე ყურადღების გარეშე ტოვებენ იმ ურცელ და ძლიერ კატეგორიას, რომელმაც შექმნა მეოთხე წოდება საზოგადოებისა—ხალხი“.

ანალოგიური გამოთქმები პუბლიცისტიკაში XVIII საუკუნის ბოლოდან გვხვდება, სადაც მეოთხე წოდებაში იგულისხმება ხან ერთი, ხან მეოთხე პოლიტიკური ძალა—ეკლესია, არმია და მისთანანი, რომლებიც უპირობოდ თავდაზნაურობასა და ბურჟუაზიას. პირველად ვინ გამოიყენა ეს გამოთქმა ფრანკლინისტიკაში, ცნობილი არაა. ტომას კარლელი (1795-1881 წწ.) წყაროს მიუთითებლად ამას მიიწერდა ინგლისის არისტოკრატის იდეოლოგს, პოლიტიკოსსა და მწერალს ედმუნდ ბერტს (1729-1797 წწ.). ის ამბობდა, რომ პარლამენტში არის სამი ხელისუფლება, მაგრამ ხელისუფლების გაღივება არის მეოთხე, უფრო ძლიერი, ვიდრე—სხვა დანარჩენი. ეს

ფიგურალური გამოთქმა არა მარტო მახვილ-გონივრული ფრაზა იყო, არამედ ზედმიწევნით ჰუმარითი ფაქტი, ფრიალ მნიშვნელოვანი იმ დროისათვის. ეურნალში „Notes and Queries“ („შენიშვნები და კითხვები“) ერთ-ერთი კორესპონდენტი ამტკიცებდა, რომ მისი თანდასწრებით ცნობილმა პოლიტიკურმა ორატორმა ჰენრი ბროუდემ თემთა პალატაში (1823-24 წწ.) პრესის მიმართ გამოიყენა გამოთქმა „მეოთხე ხელისუფლება“.

ინგლისელი ლიბერალი ისტორიკოსი მაკოლეი (1800-59 წწ.) ჰენრი ჰალამის ნარკვევში „ინგლისის კონსტიტუციური ისტორია“ („ედინბურგ რევიუ“, 1828 წ., სექტ.) წერს, რომ თემთა პალატის რეპორტიორთა გაღივება არის სახელმწიფოს მეოთხე ხელისუფლება. შესაძლოა, მაკოლეი კარლელიმა სწორედ ეს ფრაზა შეცდომით მიაწერა ბერტს, რომლის ნაწარმოებშიც აღნიშნული გამოთქმის აღმოჩენა არ მოხერხდა.

XIX საუკუნეში ინგლისური გამოთქმის „მეოთხე ხელისუფლების“ ნაცვლად რუსეთში დამკვიდრდა „მეექვსე ხელისუფლება“. ასე უწოდეს პრესას ხუთი სახელმწიფოს (რუსეთის, ინგლისის; საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის) შემდეგ.

საქართველოში ეს გამოთქმა XX საუკუნეში გაჩნდა. რუსული ვარიანტისაგან განსხვავებით, ინგლისურის ანალოგიით ჩვენში დამკვიდრდა „მეოთხე ხელისუფლება“.

მასალა მოამზადა სოფიო სულაბერიძემ

### საქმისწარმოება, წერძინოლოგია

რუსული:	საქმისწარმოება:	წერძინოლოგია:
окисление	(აკისლენიე)	უანგვა
отражатель	(ატრაჟატელი)	ამრეკლი
первичный	(პერვიჩნი)	პირველადი
подвесной	(პადვესნოი)	კიდული, საკიდი
подушка	(პადუშკა)	ბალიში
покрышка	(პაკრიშკა)	საბურავი
полуось	(პოლიოსი)	ნახევარღერძი
помпа	(პომპა)	ტუმბო
поперечный	(პაპერეჩნი)	განივი
поршень	(პორშინი)	დგუში
прибор	(პრიბორი)	ხელსაწყო, მოწყობილობა
прицепка	(პრიცეპკა)	მისაბმელი
провод	(პრავოდი)	ხადენი
пружина	(პრუჟუნა)	ზამპარა

### სიფყვათა აკიდო

სიფყვათა აკიდო

შ	გ	რ	მ	ნ	ი
ჭ		ჭ	უ		ნ
	ღ		პ		ნ
		ს	ბ		ნ
ჩ	მ	ღ			ნ
	ბ		პ		ნ
		ს	პ	პ	ნ
		ს	ჭ		ნ
ყ		ბ	ფ		ნ
მ	ღ				ნ
	ღ	შ	ბ		ნ
	ს	პ			ნ
მ		ჭ			ნ
	ბ		თ		ნ
		ჭ		მ	ნ
		მ	თ		ნ
			შ	ბ	ნ
			ჭ		ნ
		მ	ღ		ნ
	პ	რ	პ		ნ
მ	პ	ღ	თ		ნ
	უ	თ	მ		ნ
	ს	ღ			ნ
		ბ	ბ		ნ
			მ	ს	ნ
	მ	ნ	ფ		ნ
	ჭ	ი	ჭ		ნ
	ს	ღ	ღ		ნ

შეკავსო ისე, როგორც მოცემულმა ნაჩვენებმა.

წინა ნომერში გამოქვეყნებული „სიტყვათა აკიდო“ კანკაში გვაბანაკი, ჩიჩილაკი, ლარნაკი, სენაკი, (შოკი), არაკი, ლილაკი, გრაფიკი, ზანზალაკი, ნაწილაკი, (ფრაკი), ავაზაკი, ფიფინაკი, კვარცხლბეკი, ბოლშევიკი, ფათურაკი, კოზაკი, პაიკი, (ბაკი), ჭელაკი, ლაწირაკი, მენშევიკი, ლაპარაკი, ბურჯაკი, ჰამაკი, (როკი), ტანკი, წიგნაკი, ნარკოტიკი, პოლკოვნიკი.

**რედაქტორთა საბჭო:**  
 იოსებ იბრაჰიმოვიძე, ლიბ რუსაჰე, რუსულან სალინაჰე, სერგო სულაბერიძე, ტარიელ შუტაბერაძე (მთავარი რედაქტორი), მარინე მახარაძე, მთავარი მხარამხარაძე.

სომხის რედაქტორთა საბჭოს სეკრეტარი

დირექტორი:  
 ლოლა ზაბრიძე,  
 მარინე მახარაძე

რეგისტრაციის  
 ნომერი  
 19/06-311

გვერდი მისამართი:  
 ვაჟა-ფშაველას ქ.  
 №19  
 ტ. 5-02-99, 4-20-83  
 ელ. ფოსტა:  
 Putkaradze @ sanetk. net. ge

გაზეთი  
 კომპიუტერულ ანუ  
 ელექტრონულ და  
 დიდი  
 ს/ს „სტამბაში“  
 მისამართი: ქუთაისი,  
 ი. ჭავჭავაძის გამზ.  
 №33